

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „სუპერ-ტვ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2011 წლის 28 იანვარს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდი 400015201 თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, კარტფაბრიკის მიმდებარე . კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია სუპერ ტვ ეს.ეი- 100%, დირექტორი ლაშა სილაგაძე(პ/ნ 49001000888).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სატელევიზიო მომსახურება.

1.4. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობის მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო

შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი

აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო

ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით

შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		
ლარი საბანკო ანგარიშებზე	372656	389629
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე		
ევროები საბანკო ანგარიშებზე		
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე		
სულ:	372656	389629

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	2065074	2300841
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ		
სულ:	2065074	2300841

3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	0
სულ:	0	0

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები		
სულ:	0	0

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	0	0
საწვავ-საცხები მასალები		
სულ:	0	0

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
კავშირგაბმულობდა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	3435	2749490
ავეჯი და ინვენტარი	0	23672
სატრანსპორტო საშუალებები	0	13227
სხვა ძირითადი საშუალებები	2752533	6708019
სულ:	2755968	9494408

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 220400 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 359552 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გუდვილი	729317	1213065
სულ:	729317	1213065

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 109397 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 181959 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ		
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	4547450	3697799
სულ:	4547450	3697799

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 8 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 6 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
„ხალიკ ბანკის“ სესხი (GEL)	0	2564348
სულ:	0	2564348

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	228	102000
სულ:	228	102000

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	147	335
სულ:	147	335

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	0	917228
ზარალი		
სულ:	0	917228

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სატელევიზიო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

		2018 წელი	2017 წელი
7310	ექსპლუატაციის ხარჯები	15438	34368
7112	მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	23149	47148
7116	მიწოდების სხვა ხარჯები	8526	11818
	სულ:	47113	93334

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2018 წელი	2017 წელი
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	12565087	2575816

7416	საიჯარო ქირა	64527	187134
7118	ექვემოქვეყნურების ხარჯები	46196	97496
7435	გაზი და წყალი	4652	15075
7424	დასფთავება და ანალოგიური ხარჯები	270	540
7418	მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	26840	129772
7190	საკანცელარიო ხარჯები	33909	16382
7450	კომპიუტერის ხარჯები	580	1523
7417	კომუნიკაციის ხარჯები	59059	99567
7111	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	3301	188642
7422	საკონსულტაციო და ადვოკატის ხარჯები	24173	38185
7455	საერთო დანიშნულების ძირით. საშალებების ცვეთა	4740	10300
7456	საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	0	0
7114	საგადასახადო ხარჯები	51118	149137
7424	საბანკო ხარჯები (გარდა კონვერტაციისა)	600	4997
7477	ხარჯები რომლებიც იბეგრება მოგების გადასახადით	0	0
7117	ავტომანქანების რემონტის ხარჯები	0	110
7432	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	19595	60074
	სულ:	1549451	3574750

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2018 წელი	2017 წელი
8290	დადებითი საკრსო სხვაობები	468	3361
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		
	სულ:	468	3361

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

		2018 წელი	2017 წელი
8210	საპროცენტო ხარჯები	153697	303638
8280	არყოფითი საკრსო სხვაობები		
8222	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	6018	16384
	სულ:	159715	320022

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 26 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 26 სექტემბერს.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	372,656	389,629	
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები			
მოთხოვნები ბანკების მიმართ			
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები			
წარმოებული ფინანსური აქტივები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გადახდილი ავანსები			
გაცემული სესხები			
სესხების გაუფასურების ანარიცხი			
მიმდინარე მარაგები			
გრძელვადიანი მარაგები			
სავაჭრო მოთხოვნები	2,065,074	2,300,841	
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები			
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები			
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან			
საინვესტიციო ქონება			
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში			
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი			
სხვა საგადასახადო აქტივი			
ბიოლოგიური აქტივები			
სხვა მიმდინარე აქტივები	314,803	300,139	
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	729,317	1,213,066	
ძირითადი საშუალებები			
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები			
სულ აქტივები	3,485,285	10,707,474	

ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			

სავაჭრო ვალდებულებები	4,547,825	3,800,134	
სხვა ფინანსური ვალდებულებები			
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება			
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		2,564,348	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
მიღებული გრანტები			
სუბორდინირებული სესხი			
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები	4,547,825	6,364,482	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		917,228	
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
წილობრივი გადახდის რეზერვი			
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი			
სავალუტო გადაფასების რეზერვი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1,062,540)	3,425,764	
სხვა რეზერვები			
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი			
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)			
სულ საკუთარი კაპიტალი	(1,062,540)	4,342,992	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3,485,285	10,707,474	

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებ ო პერიოდი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი
ამონაგები	7,696,295	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		
გამოყენებული ნედლეული და მასალები		
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	(2,572,220)	
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		

აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		
საკონსულტაციო ხარჯი		
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი		
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		
იჯარის ხარჯი	(180,879)	
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		
ცვეთა და ამორტიზაცია		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,703,227)	
საოპერაციო მოგება	(1,062,540)	

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

გაცემულ სესხებზე		
სავაჭრო მოთხოვნებზე		
სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე		
სხვა ფინანსურ აქტივებზე		

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება(ზარალი) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		
გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან		
გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან		
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება სხვა აქტივებზე		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან		
მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		
სხვა ფინანსური შემოსავალი		
სხვა ფინანსური ხარჯი		
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაცი	(1,062,540)	
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		

შეწყვეტილი ოპერაციები		
მოგება/(ზარალი)	(1,062,540)	

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
<i>შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):</i>		
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან		
გაციდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში		
უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის გადაანგარიშება წარსადგენ ვალუტაში		
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი		
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:		
უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების წილი		
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში		

<i>შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):</i>		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი		
ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(1,062,540)	

მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მოგება/(ზარალი)		

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		

საბაზისო მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან		
შეწყვეტილი ოპერაციებიდან		

გაზაფხული მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:		
განგრძობითი ოპერაციებიდან		
შეწყვეტილი ოპერაციებიდან		

	საანგარიშგებ ო პერიოდი	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		

ფორმა N4 - კაპიტალის მოძრაობა

	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივი ს შემთხვევაში	დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს- სთვის)	გამოსყიდული საკუთარი აქციები
--	--	--	------------------------------------

ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის			
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი			
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი			
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის			

მოგება / (ზარალი)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)			

ახალი აქციების გამოძვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')			
წილობრივი გადახდა			
საკუთარი აქციების:			
შესყიდვა			
გაყიდვა			
საწარმოთა გაერთიანება			
შვილობილ საწარმოებში არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა			
შვილობილ საწარმოებში არამაკონტროლებელი წილის გაყიდვა			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			
დივიდენდის გამოცხადება			

სხვა			
ნაშთი 2015 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის			

მოგება / (ზარალი)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
წილობრივი გადახდის საფუძველზე გასოფილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო			
წილობრივი გადახდა			
საკუთარი აქციების:			
შესყიდვა			
გაყიდვა			
საწარმოთა გაერთიანება			
შვილობილ საწარმოებში არამაკონტროლებელი წილის შესყიდვა			
შვილობილ საწარმოებში არამაკონტროლებელი წილის გაყიდვა			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება			
დივიდენდის გამოცხადება			
სხვა			
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის			

